



ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის ქალებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისის გლობალურ ბიზნეს ფორუმში

ქალები, როგორც რეგიონული საზოგადოების განვითარების როლური მოდელი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი 2016 წლის ნოემბრიდან წარმატებით ახორციელებს პროექტს - „სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში“.

პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მხარდაჭერით, ადგილობრივ საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორების წარმომადგენლთა ჩართულობისათვის შეიქმნა ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი. ჯგუფის მიზანია, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავება. პროექტი ასევე მოიცავს საგრანტო კომპონენტს, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი ადგილობრივი განვითარების საპროექტო განაცხადების შერჩევას და მათ დაფინანსებას. წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები მიმართული უნდა იყოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და საგანმანათლებლო განვითარებაზე.

ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მნიშვნელოვანი მიღწევაა 3 წევრი ქალის მონაწილეობა გლობალურ ბიზნეს ფორუმში, რომელიც ბიზნესმენ ქალთა გაერთიანების ორგანიზებით თბილისში 2017 წლის 15-16 სექტემბერს, სასტუმრო ბილტმორში გაიმართა.

(ვიდეო: <https://youtu.be/FDJQRMcfFS0>)

ქალთა მონაწილეობა განაპირობა მათმა მუშაობამ ქალებისა და ახალგაზრდების მხარდამჭერ ჯგუფში, რომლის მიზანია წახალისოს ქალები და ახალგაზრდები საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად - განსაკუთრებული აქცენტი კი კეთდება საგრანტო კომპონენტზე. აღნიშნულ ფორუმში მონაწილეობდნენ ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრები: ანუშ გილოიანი, შოგიკ რაისიანი და დალი აღდგომელაძე.



“მე მოუთმენლად ველოდი ამ ღონისძიებას”, - განაცხადა ანუშ გილოიანმა-ახალქალაქის ახალგაზრდა მკვიდრმა. “ბევრი რამ ვისწავლე. მაგ. ის, რომ არ აქვს მნიშვნელობა

საიდან ხარ წარმოშობით, ან რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნის. თუკი თავდაუზოგავად იშრომებ და არ დანებდები, მაშინ აუცილებლად მიაღწევ სასურველ შედეგს. მე მოვუსმინე ქალბატონს ინდოეთიდან, რომელიც გაიზარდა იმავე მენტალიტეტით, როგორც მე. მან ყველაფერს მიაღწია, დაიწყო ნულიდან და ახლა უკვე აქვს საკუთარი ბიზნესი. ჩვენ უნდა გადავზვიოთ ჩვენი მენტალიტეტიდან, რომელიც გვაბრკოლებს. ახალქალაქში გვჭირდება მსგავსი ისტორიების მოსმენა, რომ ვირწმუნოთ საკუთარი ძალების,”-განაცხადა გილოიანმა.

დალი აღდგომელაძემ გაიზიარა გილოიანის მოსაზრება და აღნიშნა: „ჩვენ ვნახეთ ქალები, რომლებმაც თავად წამოიწყეს და განავითარეს ნამდვილი ბიზნესი“. “მე შევხვდი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებიც სხვადასხვა კულტურას ეკუთვნიან. ძალიან საინტერესო იყო, გამეგო თუ როგორ მუშაობენ ისინი და აღწევნ წარმატებას. მე ვესაუბრე მასწავლებელს ინგლისიდან, რომელიც პარალელურად მუშაობს შამპანურის დისტრიბუტორად. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ შეგვიძლია წარმატებას სხვადასხვა სფეროებში მივაღწიოთ.”



გლობალური ბიზნესის ფორუმში ადგილობრივ და საერთაშორისო მომხსენებლებს 2 დღის განმავლობაში სთავაზობდა ღია დისკუსიებსა და გაცნობით სესიებს სხვადასხვა

საკითხებზე, კერძოდ: სამეწარმეო ტენდენციები და ბიზნესეთიკა, სხვადასხვა კულტურებში, სტრატეგიები ძველი და ახალი ტენდენციების ჰარმონიზაციისთვის, ქალთა როლი ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებაში და 21-ე საუკუნის ბიზნეს გარემოს გამოწვევები. ფორუმში, რომელიც იმართება ყოველწლიურად, არის ბიზნესმენ ქალთა კავშირის მიერ ორგანიზებული და მიზნად ისახავს წარმატებული ბიზნესმენი ქალების შეკრებას გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის განვითარების მიზნით.

“ჩვენი მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს. ჩვენმა ახალგაზრდებმა უნდა გაიზარონ, რომ ისინი არ არიან ვალდებულნი დაოჯახდნენ 17 ან 18 წლის ასაკში. მათ უნდა იცოდნენ, რომ აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ, წავიდნენ საზღვარგარეთ, ნახონ სხვა ქვეყნები და გაიგონ თუ როგორ ცხოვრობენ სხვადასხვა მენტალიტეტის მქონე ადამიანები”

– ანუშ გილოიანი

“მოტივაცია, ნამდვილი მოტივაცია” - ასე უპასუხა ანუშ გილოიანმა შეკითხვას, თუ რა მისცა მას ფორუმში მონაწილეობამ. “ფორუმმა დამანახა, რომ ქალებს აქვთ თავიანთი ადგილი ბიზნესში. მე შევხვდი ქალებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებმაც დამარწმუნეს, რომ ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ და შევქმნათ ახალი, შეგვიძლია ვიყოთ მამაკაცების თანასწორი ბიზნესში. შესვენებებზე სოციალურ ქსელში ვტვირთავდი სხვადასხვა მომხსენებლების ვიდეოებს, რომ სახლში მყოფებსაც შეძლებოდათ მოესმინათ და ენახათ. ამას ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ახალგაზრდები მეკითხებოდნენ, თუ სად ვიყავი და რა ხდებოდა. როცა ახალქალაქში დავბრუნდი, ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და განვიხილეთ სხვადასხვა საკითხები.” - აღნიშნა მან.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, მრავალი გამოწვევა და დაბრკოლებაა, რომელიც მოსახლეობის ტრადიციულ და კონსერვატორულ აზროვნებას უკავშირდება. პარალელურად, ქალის როლი ოჯახსა და საზოგადოებაში შეზღუდულია, რაც გამომდინარეობს ძველი მრწამსიდან, რომლის მიხედვითაც ქალს უნდა ეზრუნა მხოლოდ ოჯახზე, ხოლო მამაკაცს უნდა ემუშავა და ყოფილიყო ლიდერი. მიუხედავად იმისა, რომ ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფში არიან ქალი წევრები, მათი რაოდენობა ბევრად მცირეა წინასწარ ნაკრავებზე რაოდენობაზე. მიუხედავად ამისა, ჯგუფის წევრი ქალები, ძალიან აქტიურები არიან.

“მე ვმუშაობ ქალთა უფლებების გაძლიერებისათვის,” აღნიშნა დალი აღდგომელაძემ. “ჩემს სასწავლო ცენტრში ჩვენ ხშირად ვმართავთ შეხვედრებს ადგილობრივ ქალებთან და მე მათ ვეუბნები: თუ გსურთ იყოთ თავისუფლები და დამოუკიდებლები უნდა გამოიმუშაოთ ფული, ამისათვის კი საჭიროა მიიღოთ შესაფერისი ცოდნა და იპოვოთ კარგი სამსახური. მე მათ ვურჩევ, არ დაოჯახდნენ ადრეულ ასაკში, როგორც ეს მიღებულია ჩვენს საზოგადოებაში. ის ქალები, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი ცხოვრება, ხშირად ხდებიან ოჯახური ძალადობის მსხვერპლი. მათ უნდა ესმოდათ, რომ აქვთ განათლების მიღებისა და მუშაობის უფლება. უნდა ირწმუნონ, რომ შეუძლიათ ოჯახის მოვლა და მუშაობა ერთდროულად.

ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ახალქალაქის ოფისი აქტიურად მუშაობს და ფარავს მუნიციპალიტეტის 63 სოფელსა და 22 თემს. დღემდე განხორციელდა ცნობიერების ამაღლების კამპანიები, LEADER მი-

დგომის სწავლება და დანერგვა (LEADER ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს სოფლის განვითარებისთვის მიღებულ ეფექტურ გადაწყვეტილებებს) წევრებს შორის. მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის დოკუმენტზე. მომავალში კი იგეგმება ადგილობრივი განვითარების საპროექტო წინადადებების განხილვა და აპლიკანტების შერჩევა დასაფინანსებლად, ქალთა და ახალგაზრდების ჯგუფების შექმნა და სასწავლო ვიზიტი ირლანდიაში.

“ჩემთვის დიდი პატივია ახალგაზრდებთან მუშაობა და მათი შეხედულებების ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება”, - განაცხადა დალი აღდგომელაძემ კითხვაზე პასუხისას, რომელიც ეხებოდა ქალებს, როგორც რეგიონული საზოგადოების განვითარების როლურ მოდელს. “არც კი ვიფიქრებ ოდესმე წავიდე სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად, რადგან ვაკეთებ იმას, რაც მიყვარს. მე მაკისრია მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა - ვასწავლო ახალქალაქის ახალგაზრდებს და გავუზიარო ჩემი გამოცდილება. ბევრ ადამიანს აქვს კარგი იდეა, მაგრამ ეშინიათ ამ იდეების გაჟღერების, რადგან არ იციან რას იფიქრებენ სხვები. ადამიანები უნდა იყვნენ უფრო მეტად თავდაჯერებულები თავიანთ შესაძლებლობებში. ცოტა ხნის წინ, ჩვენმა ერთ-ერთმა მასწავლებელმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა მერობაზე, თუმცა მას ეშინია, თუ რას იტყვიან ამაზე სხვები. ქალებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი ხმა და არ უნდა ეშინოდეთ არაფრის.”

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის პროექტი „სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში“ გრძელდება 2020 წლის ივლისამდე.

ჯეფრი მორსკი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის მოწვეული კონსულტანტი.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: www.enpard.ge www.akhalkalakilag.ge

